DRI: 2024 წელს უსაფრთხოების სექტორის მიმართ პარლამენტის წევრების კითხვების რაოდენობა კვლავ დაბალია

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი პარლამენტის წევრს ანიჭებს უფლებამოსილებას კითხვით მიმართოს საქართველოს მთავრობას, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ სხვა ორგანოს, მთავრობის წევრს, ყველა დონის ტერიტორიული ერთეულის ხელისუფლების ორგანოს, სახელმწიფო დაწესებულებას. პარლამენტის წევრის კითხვაზე დროული და სრული პასუხის გაცემა სავალდებულოა.

აღსანიშნავია, რომ 2023 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, უსაფრთხოების სექტორში შემავალ უწყებებში დეპუტატების მიერ გაგზავნილი კითხვების რაოდენობა შემცირებულია. თუ 2023 წლის 1 იანვრიდან 15 მარტამდე პარლამენტის წევრებმა თავდაცვის სამინისტროს 9 კითხვა გაუგზავნეს, 2024 წლის ანალოგიურ პერიოდში, სამინისტროს შეკითხვით მხოლოდ ერთმა დეპუტატმა მიმართა. შემცირებულია შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის გაგზავნილი კითხვების რაოდენობაც - წინა წლის ანალოგიურ პერიოდში გაგზავნილი 20 შეკითხვისგან განსხვავებით, წელს, 1 იანვარი - 15 მარტის პერიოდში, დეპუტატებმა სამინისტროს 12 შეკითხვით მიმართეს.

12 წერილობითი კითხვა საპარლამენტო ოპოზიციას ეკუთვნის. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, უსაფრთხოების სექტორში შემავალ უწყებებში კითხვა უმრავლესობის მხოლოდ ერთმა წევრმა გაგზავნა. საქართველოს პარლამენტიდან არც ერთი კითხვა არ არის გაგზავნილი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში.

2022 წლიდან პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი შეისწავლის და პარლამენტის ბიუროს წარუდგენს ინფორმაციას პარლამენტის წევრის კითხვაზე რეაგირებასთან დაკავშირებით. პარლამენტის წევრის კითხვაზე გაცემული პასუხის შინაარსობრივი სისრულის შემოწმება საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის ვალდებულება არ არის. შესაბამისად, ხშირია შემთხვევები, როდესაც ანგარიშვალდებული უწყებები პარლამენტის წევრის კითხვას მხოლოდ ფორმალურად პასუხობენ და კითხვის ავტორი ვერ იღებს შესაბამის და შინაარსობრივად ამომწურავ პასუხს.

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა გააანალიზა 2024 წლის 1 იანვრიდან 15 მარტამდე პერიოდში პარლამენტის წევრების მიერ უსაფრთხოების სექტორში შემავალ უწყებებში (საქართველოს თავდაცვის და შინაგან საქმეთა სამინისტროები, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური და მისი ქვედანაყოფები) გაგზავნილი კითხვებისა და მათზე მიღებული პასუხების შინაარსი. ორგანიზაციამ იხელმძღვანელა პარლამენტის ვებგვერდზე გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაციით.

2.5 თვის განმავლობაში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის, თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებისთვის ჯამში გაგზავნილია 13 წერილობითი კითხვა. აქედან, 1 კითხვაზე პასუხი არ არის გაცემული.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

2.5 თვის განმავლობაში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 12 წერილობითი კითხვა გაეგზავნა. აქედან ერთ კითხვაზე პასუხის გაცემის რეგლამენტით დადგენილი ვადა გასული არ არის, ერთი კითხვა თავად კითხვის ავტორმა გამოითხოვა,[1] ხოლო ყველა სხვა კითხვაზე უწყებას პასუხი გაცემული აქვს. შსს-თვის ყველაზე მეტი - 3 წერილობითი კითხვა პარლამენტის წევრ თამარ კორძაიას აქვს გაგზავნილი.

პარლამენტის წევრის თამარ კორძაიას ერთ-ერთი კითხვა[2] ეხება რამდენ პირს აქვს შეჩერებული სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების (სატრანსპორტო საშუალების ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში მართვა) საფუძველზე. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ დეპუტატი ოფიციალურ ვებგვერდზე - info.police.ge (https://info.police.ge/page?id=183&parent_id=179) გადაამისამართა, სადაც უწყების განმარტებით, პერიოდულად ახლდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აღრიცხვიანობისა და კომპეტენციის ფარგლებში დამუშავებული სტატისტიკური ინფორმაცია, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევების გამო გამოვლენილი სამართალდარღვევების შესახებ.[3] დეპუტატის სხვა კითხვები[4] ეხებოდა კონკრეტული პირის სამინისტროში დასაქმების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვას. სამინისტროს პასუხის თანახმად, ამ პირის სამინისტროს სისტემაში დასაქმების შესახებ ინფორმაცია არ იძებნება.[5]

შინაგან საქმეთა სამინისტროს კითხვით საპარლამენტო უმრავლესობის მხოლოდ ერთმა წევრმა მიმართა. ნინო წილოსანმა უწყებისგან ავტოსაგზაო შემთხვევების სტატისტიკა გამოითხოვა.[6] თამარ კორძაიას მსგავსად, ნინო წილოსანსაც სამინისტრომ მიუთითა[7] პორტალზე, სადაც მსგავსი სტატისტიკური ინფორმაცია არის განთავსებული.

უფრაქციო პარლამენტის წევრის ტარიელ ნაკაიძის კითხვა[8] ეხებოდა სახელმწიფო საზღვრის კვეთისას მუსლიმების მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტებს. სამინისტროს პოზიციით,[9] უწყების თანამშრომლები რელიგიური ნეიტრალიტეტისა და თანასწორობის

---

[1] პარლამენტის წევრის ალექსანდრე რაქვიაშვილის წერილი N 1036/3-77/24, ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/32460

[2] პარლამენტის წევრის თამარ კორძაიას კითხვა N106/3-53/24, ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/32160

[3] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი N MIA92400169246, ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/32220

[4] პარლამენტის წევრის თამარ კორძაიას კითხვა N1052/3-53/24, N630/3-53/24, ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/32462 https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/32314

[5] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი N MIA 1 24 00568083, ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/32608

[6] საქართველოს პარლამენტის წევრის ნინო წილოსანის კითხვა N 1693/1-6/24, ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/32806

[7] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი N MIA 5 24 00782395, ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/32885

[8] საქართველოს პარლამენტის წევრის ტარიელ ნაკაიძის კითხვა N 1017/3-79/24, ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/32466

[9] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი N MIA 1 24 00527439, ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/32567

პრინციპების შესახებ მუდმივად გადიან გადამზადებას და თავისი კომპეტენციის ფარგლებში ყველა ზომას მიმართავენ, რომ მგზავრებისათვის სასაზღვრო-საპასპორტო კონტროლის გავლა სასაზღვრო გამტარ პუნქტზე განხორციელდეს მაქსიმალურად კომფორტულად. **ამავე დროს, სამინისტრომ თავი აარიდა დეპუტატის მიერ დასახელებული კონკრეტული პრობლემის შესახებ პასუხის გაცემას** იმ მოტივით, რომ ეს ფაქტი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ - შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის უფლებამოსილებას ეკუთვნის.

დეპუტატმა ხატია დეკანოიძემ ერთი და იმავე შინაარსის კითხვით ორჯერ მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს.[10] კითხვა შეეხებოდა „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული კანონქვემდებარე აქტების მიღების აუცილებლობას. პარლამენტის წევრს აინტერესებდა რა შინაარსის კანონქვემდებარე აქტების მიღება ევალებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს, რამდენი აქტი არის უკვე მიღებული და ჭიანურდება თუ არა მათი შემუშავების პროცესი. ორივე შემთხვევაში უწყებამ ფორმალური პასუხი გასცა დეპუტატის კითხვას: *„სამართლებრივი აქტების (რომელთა გამოცემის ვადად განსაზღვრულია 2026 წლის 01 იანვრამდე პერიოდი) რეგულირების სფერო განეკუთვნება სხვადასხვა უწყებების კომპეტენციას, სამართლებრივი აქტების შემუშავება დაკავშირებულია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის მოძიებასთან, ექსპერტთა მხარდაჭერასთან, ეროვნული სისტემის სხვადასხვა სუბიექტის ჩართულობასთან, რაც აქტიურად მიმდინარეობს.*"[11] პარლამენტის ოფიციალურ ვებგვერდზე მხოლოდ უწყების მხრიდან 2024 წლის 26 იანვარს გამოგზავნილი პასუხია ასახული, მაშინ როცა ხატია დეკანოიძემ განმეორებითი კითხვა 2 თებერვალს გაგზავნა.

პარლამენტის წევრის პაატა მანჯგალაძემ შინაგან საქმეთა სამინისტროსგან მოითხოვა სტატისტიკური ინფორმაცია საქართველოს მოქალაქეების მიგრაციის შესახებ 2012-2023 წლებში.[12] უწყებამ პარლამენტის წევრს მიუთითა[13] პორტალზე, სადაც ათავსებს სტატისტიკურ მონაცემებს, თუმცა დეპუტატი ითხოვდა ინფორმაციას საქართველოს მოქალაქეების მიგრაციის შესახებ ქვეყნების მითითებით, ხოლო სამინისტროს მიერ მითითებულ ბმულზე ამ კუთხით დამუშავებული ინფორმაცია არ არის მოცემული.

ალექსანდრე რაქვიაშვილის შსს-სგან ითხოვდა ინფორმაციას 2019-2022 წლებში საქართველოს ტერიტორიაზე შემოსული და საქართველოს ტერიტორიიდან გასული საქართველოს, რუსეთის, ბელარუსის, უკრაინის, სომხეთის, აზერბაიჯანის, თურქეთის, ყაზახეთისა და სხვა ქვეყნების მოქალაქეების რაოდენობის შესახებ, ჩაშლილს კვარტლების მიხედვით.[14] სამინისტროს მიერ

---

[10] საქართველოს პარლამენტის წევრის ხატია დეკანოიძის კითხვა N 68/3-23/24, ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/32030, კითხვა N 730/3-23/24, ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/32330

[11] საქართველოს შინაგანს აქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წერილი N MIA 5 24 00242952, ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/32393 წერილი N:

[12] საქართველოს პარლამენტის წევრის პაატა მანჯგალაძის კითხვა N 100/3-62/24, ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/32052

[13] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი N MIA 4 24 00203729, ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/32247

[14] საქართველოს პარლამენტის წევრის ალექსანდრე რაქვიაშვილის კითხვა N 215/3-77/24, ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/32151

მითითებულ პორტალზე კი მოცემულია მთელი წლის ჯამური და თითოეული თვის მონაცემები ცალ-ცალკე, თუმცა არა კვარტალური.[15]

მინისტრის მოადგილის შრომის ანაზღაურების, პრემია/დანამატის, თანაშემწეების ანაზღაურების, თანაშემწეების პრემია/დანამატის, მძღოლის ანაზღაურების, მძღოლის პრემია/დანამატის, ტელეფონის ხარჯის, საწვავის ხარჯის, მანქანის მომსახურების ხარჯის, ოფისის ხარჯების, სამივლინებო ხარჯის შესახებ გამოითხოვა მონაცემები პარლამენტის წევრმა რომან გოცირიძემ.[16] პასუხად დეპუტატს მიაწოდეს ინფორმაცია მინისტრის მოადგილეების შრომის ანაზღაურების (ხელზე ასაღები თანხა) შესახებ, სამივლინებო ხარჯების მონაცემები, თანაშემწეთა და მძღოლების ჯამური ანაზღაურება. ხოლო საწვავის, ასევე სხვადასხვა კომუნალური ხარჯების დაანგარიშება სამინისტროსგან მიღებული პასუხის თანახმად, ხორციელდება ჯამურად, შესაბამისად ის ცალკეული მონაცემები რაც დეპუტატს აინტერესებდა, არ იქნა მიწოდებული.[17]

პარლამენტის წევრმა თეონა აქუბარდიამ სამინისტროს მიმართა კითხვით, იგეგმებოდა თუ არა რაიმე სახის კომპენსაციის დანიშვნა ან ერთჯერადად გადაცემა 2020 წელს გათავისუფლებული მეხანძრე-მაშველებისთვის, რომლებიც არ იყვნენ საპენსიო ასაკს მიღწეულნი, ვინაიდან ისინი გათავისუფლდნენ ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე.[18] სამინისტროს პასუხის თანახმად,[19] მათი ავტორობით მომზადებულია კანონის პროექტი, რომლის თანახმად, 2005 წლის 1 აპრილიდან 2015 წლის 10 იანვრამდე და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიულ პირში – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოში 2015 წლის 10 იანვრიდან 2016 წლის 2 სექტემბრამდე მუშაობის პერიოდი, ხოლო საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურეს ფულად სარგოზე წოდებით ნამსახურები წლებისათვის დანამატის დაანგარიშებისას წელთა ნამსახურობაში ჩაეთვლება ზემოაღნიშნულ დანაყოფებში წოდების გარეშე მუშაობის პერიოდი.

შინაგან საქმეთა სამინისტროში გაგზავნილი კითხვების მნიშვნელოვანი ნაწილი სხვადასხვა სტატისტიკურ ინფორმაციის გამოთხოვას ეხება. ეს გარკვეულწილად ლოგიკურიცაა, ვინაიდან სწორედ ეს სამინისტრო აწარმოებს როგორც დანაშაულების, ასევე, საზღვრის კვეთის შესახებ მონაცემების სტატისტიკას. თუმცა, საპარლამენტო ზედამხედველობას შინაარსობრივ ეფექტურობას გააუმჯობესებდა, თუკი პარლამენტის წევრების კითხვები უფრო ფართოდ გავრცელდებოდა უწყების საქმიანობის სხვადასხვა მიმართულებებზე, საქმიანობის შედეგებსა და შესაძლო პრობლემების მიზეზების განსაზღვრაზე.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

---

[15] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი N MIA 6 24 00203730, ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/32245

[16] საქართველოს პარლამენტის წევრის რომან გოცირიძის კითხვა N:974/3-17/24, ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/32435

[17] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი N:MIA12400582122, ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/32626

[18] საქართველოს პარლამენტის წევრის კითხვა N980/3-2/24, ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/32446

[19] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი N:MIA12400580809, ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/32620

2024 წლის 1 იანვარი - 15 მარტის პერიოდში თავდაცვის სამინისტროს მხოლოდ 1 წერილობითი კითხვა გაეგზავნა. პარლამენტის წევრის რომან გოცირიძის კითხვა შეეხებოდა: მინისტრის მოადგილეზე (მინისტრის თითოეული მოადგილის მიხედვით ცალ-ცალკე) გაწეულ წლიურ დანახარჯს, რომელიც მოიცავს: შრომის ანაზღაურებას, პრემია/დანამატს, თანაშემწეების ანაზღაურებას, თანაშემწეების პრემია/დანამატს, მძღოლის ანაზღაურებას, მძღოლის პრემია/დანამატს, ტელეფონის ხარჯს, საწვავის ხარჯს, მანქანის მომსახურების ხარჯს, ოფისის ხარჯებს, სამივლინებო ხარჯს.[20] თავდაცვის სამინისტრომ დეპუტატს მიაწოდა მოთხოვნილი ინფორმაცია,[21] გარდა - 1. საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილის და მოადგილეებისთვის განკუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურების ხარჯების შესახებ მონაცემებისა. მიზეზად უწყების პასუხში მითითებულია, რომ თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურება ხორციელდება „საიდუმლო“ გრიფით რეგისტრირებული ხელშეკრულების ფარგლებში; 2. ასევე დეპუტატს არ მიაწოდეს ინფორმაცია მინისტრის პირველი მოადგილისა და მოადგილეების ოფისის ხარჯების შესახებ, ვინაიდან, სამინისტროს განმარტებით, ასეთი სახის ხარჯების გაწევა ხორციელდება ორგანიზაციისთვის ჯამურად.

რეგიონში მიმდინარე რუსეთ-უკრაინის ომის და ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის განთავსებისთვის მზადების ფონზე, საპარლამენტო სესიის ორთვენახევრის განმავლობაში თავდაცვის სამინისტროსთვის მხოლოდ ერთი კითხვის გაგზავნა, კიდევ ერთი მაჩვენებელია, რომ უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო ზედამხედველობა პასიურია და ზედამხედველობის ეფექტურობისთვის აუცილებელია პარლამენტის წევრების მხრიდან კიდევ უფრო მეტი აქტიურობა, როგორც კითხვის გაგზავნის, ასევე სხვა მექანიზმების გამოყენებით.

[20] საქართველოს პარლამენტის წევრის რომან გოცირიძის კითხვა N: 967/3-17/24, ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/32442

[21] საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წერილი N MOD 7 24 00249868, ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/32637